



# Media Advocacy Coalition

## კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

### გამოვხატავთ მზადყოფნას მედიას მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით გავუწიოთ უფასო იურიდიული დახმარება

კოალიცია **ქართული ადვოკატირებისთვის** წევრები უარყოფითად ვაფასებთ 2020 წლის 08 ნოემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს სახელმწიფოს მხრიდან აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ უკანონო და არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტებს. რასაც მოჰყვა როგორც აქციის მონაწილეთა, ისე ჟურნალისტების მნიშვნელოვანი დაზიანება.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ამ დროისათვის ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით<sup>[1]</sup>, დაშავდნენ გადამღები ჯგუფები და დაზიანდა მედია ორგანიზაციების კუთვნილი ტექნიკა. გავრცელებულ ვიდეომასალებში ჩანს, რომ წყლის ჭავლს, რომლითაც პერიოდულად აქციის დაძლას ცდილობდნენ, დამიზნებით უშენდნენ მედიის წარმომადგენლებსაც. ჟურნალისტები და ოპერატორები სწორედ წყლის ჭავლმა დააზიანა. მათი ნაწილი, წყლის წნევის გამო, გადაღების მანქანებიდანაც გადმოვარდა:

1. აქციის გაშუქებისას "ტელეკომპანია პირველის" ოპერატორს პავლე ხაჩიძეს თვალი დაუზიანდა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა.
2. წყლის ჭავლით დასველდა და ამ მდგომარეობაში მუშაობის გაგრძელების შემდეგ გონება დაკარგა ტელეკომპანია **□□□□□□□□** ოპერატორმა გიორგი ჯაფარიძემ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა იგი ლუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანა.
3. დაშავდა ამავე არხის ახალი ამბების სამსახურის ჟურნალისტი ანა ბარათაშვილი, რომელიც წყლის ჭავლის წნევამ მიკროავტობუსიდან გადმოაგდო.
4. აქციის გაშუქებისას დაშავდა **□□□□□□** თავისუფლების **□** ორი გადამღები ჯგუფი. წყლის ჭავლმა დააზიანა მედიასაშუალებების კამერა.
5. ფოტოკამერა დაუზიანდა OC Medias თანადამფუძნებელ, ფოტოგრაფ მარიამ ნიკურაძეს. როგორც იგი სოციალურ ქსელში წერს, მის კამერას სავარაუდოდ ქვა მოხვდა.
6. ტექნიკა დაუზიანდა "რუსთავი 2-საც". მაუნცებლის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ფეხის არეში მსუბუქი დაზიანება მიიღო ოპერატორმაც.
7. წყლის ჭავლისგან მობილური ტელეფონი დაუზიანდა **□□□□□□□□□□** ჟურნალისტს მერაბ ცაავას.
8. წყლის ჭავლის დამიზნებით სროლაზე საუბრობს JRC-ის ჟურნალისტი გიგა აბულაძე, რომელიც ასევე დაშავდა წყლის ჭავლისგან მუშაობის პროცესში. როგორც იგი ამბობს, აქვს თვალების წვის შეგრძნება და ცრემლდენა.
9. ჩვენი ინფორმაციით ხუთი კამერა დაუზიანდა **□□□□□□** არხს A ასევე ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელი შეეშალა ამავე არხის ოპერატორს ტატო გურგენიძეს.

კოალიცია **□□□□□□** ადვოკატორებისათვის **□** შეახსენებს მმართველ გუნდს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა პატივი სცეს მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციების ჩატარების უფლებას, ამასთან განსაკუთრებული ვალდებულებაა არ შეუშალოს ხელი **□□□□□□** ადვოკატორებისათვის (995 32) 95 23 53; **□□□□□□** საქმიანობის შესრულებაში (995 32) 92 32 11; **□□□□□□** რათა ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია მიმდინარე

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პროცესებთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ 2020 წლის 08 ნოემბერს მომხდარი მოვლენების გამო უნდა დადგეს სათანადო პასუხისმგებლობა და მედიას უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი.

ამასთანავე, კოალიცია **ქართული ადვოკატირებისთვის** გამოხატავს მზადყოფნას ჟურნალისტებს და მედიაორგანიზაციებს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით გაუწიოს უფასო იურიდიული მომსახურება.

[1] <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/85135-cekosthan-mimdinare-aqciis-gashuqebisas-dashavdnen-gadamghebi-jgufebi-da-dazianda-teqnika>